# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 385

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მუჰსინ კურტს (პ/ნ. 01017034320; უფლებამონაცვლე: შპს „სარე დეველოპმენტი“ (ს/ნ. 405566472)) შორის, 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-375-40-21567 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის; 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მუჰსინ კურტს (პ/ნ. 01017034320; უფლებამონაცვლე: შპს „სარე დეველოპმენტი“ (ს/ნ. 405566472)) შორის, 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-375-40-21567 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 15 აგვისტოს №25.1385.1567 განკარგულების გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მუჰსინ კურტს (პ/ნ. 01017034320; უფლებამონაცვლე: შპს „სარე დეველოპმენტი“ (ს/ნ. 405566472)) შორის, 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-375-40-21567 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობის პირობით“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე